



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 5

28/02/2020

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და ქირის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 თებერვლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით მომართვის საფუძველზე გადასცეს იურიდიულ და ფიზიკურ პირს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:
 - ა) ექსკავატორ-დამტვირთველი-მარკა-მოდელი JCB 3CX ECO SUPER SITEMASTER, სახელმწიფო ნომერი AA-029-A;
 - ბ) ექსკავატორ-დამტვირთველი-მარკა-მოდელი JSB -4CX-4WS-SM, სახელმწიფო ნომერი SS-391-S ;
 - გ) დამტვირთველი-მარკა-მოდელი LiuGong CLG842, სახელმწიფო ნომერი SS-860-S;
 - დ) ავტოგრიდერი-მარკა-მოდელი MITSUBISHI MG-330E სახელმწიფო ნომერი SS-121-S.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, გასაქირავებელი ქონების ქირის ოდენობა განისაზღვროს დანართის შესაბამისად.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მეზღვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



№	დასახელება	მარკა, მოდელი	სახელმწიფო №	ქირის ოდენობა (ლარი)		შენიშვნა
				დღიური	საათობრივი	
1	ექსკავატორ- დამტვირთველი	JCB 3CX ECO SUPER SITEMASTER	AA-029-A	200,00	25,00	საწვავის გარეშე
2	ექსკავატორ- დამტვირთველი	JSB -4CX- 4WS-SM	SS-391-S	200,00	25,00	საწვავის გარეშე
3	დამტვირთველი	LiuGong CLG842	SS-860-S	250,00	31,25	საწვავის გარეშე
4	ავტოგრეიდერი	MITSUBISHI MG-330E	SS-121-S	300,00	37,50	საწვავის გარეშე